სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-160 22.12.2023

ბრძანება

„სსიპ „ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის №01/745 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის მე-6 ნაწილის და 38-ე, მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ „ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობის ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების ნაცვლად, თვითმმართველობის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით, ახალი წევრების არჩევის მიზნით, 2024 წლის 23 იანვარს დაინიშნოს არჩევნები შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:
   ა) მწვრთნელთა ფაკულტეტიდან 6 სტუდენტი,
   ბ) ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტიდან 5 სტუდენტი.
2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებში 2024 წლის 8 იანვრიდან 2024 წლის 15 იანვრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა)
3. კანდიდატებმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინონ:

- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 5 მხარდამჭერ სტუდენტთა სია ხელმოწერებით- ფაკულტეტების მიხედვით, რომელ ფაკულტეტიდანაც იყრის კენჭს;
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ იმ ფაკულტეტიდან, რომელზეც იყრის კენჭს;;

4. სპორტის უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დაევალოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის „სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ არჩევნების ჩატარების დებულებით“ გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;

5. ბრძანება განთავსდეს სპორტის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორის მ/შ,
პროფესორი ტრისტან გულბიანი